

newsletter

DAAD

Deutscher Akademischer Austauschdienst
German Academic Exchange Service

სარჩევი

წინასიტყვაობა

- ინტერვიუ მარიამ მუსერიძესთან;
- ვორქშოპი ქუთაისში "მოზარდების ენა";
- ინტერვიუ კაი ეცოლთან;
- იულიის კვლევითი ცენტრის ვიზიტი ქუთაისსა და აბაშაში;
- დარგობრივი კურსი „გერმანული ენა ლოგისტიკისთვის“;
- DAAD/ERP-ის იუბილე;
- საზაფხულო სკოლა გერმანელი სტუდენტებისთვის;
- გივი მარგველაშვილის შემოქმედება
- ჰუმბოლდტის კონფერენცია თბილისში;
- პროგრამის ERASMUS+ სემინარი თბილისში;
- გერმანული ენის ახალი ასისტენტი სტუ-ში.

მოკლე მიმოხილვა

- ქუთაისის უნივერსიტეტის პრეზენტაცია;
- ფორუმი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის;
- სემინარი - წყლის რესურსების მენეჯმენტი;
- განათლების გამოფენა;
- ვილდაუს ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის პრეზიდენტის ვიზიტი სტუ-ში.



საკონსულტაციო საათები:

ორშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი:

14.00 - 18.00 სთ.

მეირფასო მკითხველო, DAAD - ის მეგობრებო,

გერმანიაში საქართველო სულ უფრო ცნობადი ხდება არა მხოლოდ ტურიზმის, არამედ საუნივერსიტეტო სივრცეშიც. ამის ნათელი დადასტურება გახლდათ შემოდგომაზე თბილისში გამართული Erasmus+ სემინარი, რომელსაც სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები ესწრებოდნენ საქართველოდან და ევრო კავშირის ქვეყნებიდან. გერმანიის დელეგაცია 27 მონაწილით იყო წარმოდგენილი. საქართველოს მიმართ არსებული მზარდი ინტერესი საუნივერსიტეტო წრეებში მისასაღმებელია, რადგან ეს აკადემიური გაცვლის წინაპირობაა.

აღსანიშნავია, გერმანული მხარის მონაწილეობა განათლების სფეროს რეფორმირების საკითხებში. DAAD-მა წარმატებით გაიარა ევროკავშირის მიერ გამოცხადებული კონკურსი, რის შედეგადაც საქართველოში DAAD-ის განათლების ექსპერტი, ბ-ნი კაი ეცოლდი, ჩამოვიდა. საინფორმაციო ფურცელი გთავაზობთ ინტერვიუს მასთან.

საინფორმაციო ფურცელი მკითხველს კიდევ ერთ ინტერვიუს გააცნობს, ამჯერად DAAD-ის სტიპენდიატთან, რომელიც მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტში სწავლობს და თავისი შთაბეჭდილებების შესახებ მოგვითხრობს.

აქვე მოგიყვებით ERP-ის პროგრამის 25 წლის იუბილის შესახებ, რომლის ფარგლებშიც არაერთმა ქართველმა სტუდენტმა მიიღო გერმანიაში განათლება.

და ბოლოს, მინდა, გკითხოთ: გიფიქრიათ ოდესმე თქვენს სტუდენტებთან ერთად გერმანიაში გამგზავრებაზე ან დარგობრივი სემინარის ჩატარებაზე



ფოტო: ოლეგ ეგოროვი

მოწვეულ გერმანელ პროფესორთან ან DAAD-ის ალუმნისთან ერთად? DAAD ამ და სხვა მიზნებისთვის დაფინანსების მრავალგვარ შესაძლებლობებს გთავაზობთ. დამატებითი კითხვების შემთხვევაში, სიამოვნებით გიმასპინძლებთ DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრში.

იმედია, ინტერესით გაეცნობით ჩვენს საინფორმაციო ფურცელს და დამეთანხმებით, რომ DAAD ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება საქართველოს საიმედო პარტნიორად ევროპისაკენ მიმავალ გზაზე.



ქუთაისის უნივერსიტეტის პრეზენტაცია

18-19 სექტემბერს თბილის-სა და ქუთაისში ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრეზენტაცია გაიმართა. ცერემონიას დაესწრნენ მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის პრეზიდენტი, პროფ. დოქტ. ვოლფგანგ ჰერმანი, ასევე ქართული პოლიტიკის, ეკონომიკისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

ქუთაისის უნივერსიტეტი 2020 წლის სექტემბერში პირველ სტუდენტებს მიიღებს მათემატიკის, ინფორმატიკისა და მენეჯმენტის მიმართულებით. მომავალში ის სრული დატვირთვით ამოქმედდება და სხვადასხვა სპეციალობებთან ერთად, დულურ პროგრამებსაც შესთავაზებს დაინტერესებულ პირებს.

უნივერსიტეტის აშენების იდეა 2012 წელს გაჩნდა, მის კონცეფციაზე კი მიუნხენის ტექნიკურმა უნივერსიტეტმა იმუშავა. უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად მოწვეულნი იქნებიან საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი სპეციალისტები, ასევე პროფესორები გერმანიის, საფრანგეთის, იაპონიისა და ამერიკის შერთებული შტატების უნივერსიტეტებიდან/კვლევითი ცენტრებიდან. სასწავლო პროცესი ინგლისურ ენაზე წარიმართება. ნაწილი სემინარებისა ონლაინ იქნება შემოთავაზებული.

პროექტისთვის „ქართუ ჯგუფმა“ ერთი მილიარდი ევროს ინვესტირება განახორციელა.

სწავლა და კვლევა გერმანიაში - ინტერვიუ მარიამ მუსერიძესთან

მარიამ, პირველ რიგში დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. გთხოვ, გვიამბო შენი, როგორც DAAD-ის სტიპენდიატის ცხოვრების შესახებ გერმანიაში.

ბაკალავრიატი საქართველოში დავასრულე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემმა მშობლიურმა უნივერსიტეტმა ბევრი მომცა, მაინც დიდ სურვილი მქონდა, მაგისტრატურა გერმანიაში გამეგლო. ვიცოდი, რომ ეს ჩემთვის კარიერული წინსვლის ახალი ეტაპი იქნებოდა. წარმატებით გავიარე DAAD-ის კონკურსი სამაგისტრო პროგრამებისთვის და უკვე ორი წელია მიუნხენში ვცხოვრობ.

რომელ უნივერსიტეტში სწავლობ და რა სპეციალობას ეუფლები?

მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტში ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე ვსწავლობ. ჩემი ინტერესის სფერო უჯრედოვანი და მოლეკულური ბიოლოგიაა. ამჟამად სამაგისტრო თეზისზე ვმუშაობ კვლევით ჯგუფთან ერთად, რომელიც დროზოფილას პიგმენტაციის ნიმუშებს იკვლევს სახეობათა შიგნით და მათ შორის. დიდი სურვილი მაქვს, მომავალშიც, ვიკვლიო ტრანსკრიფციის რეგულაციათა მექანიზმები და ამ მიმართულებით სადისერტაციო ნაშრომი დაწვირო.

რა ფაქტორები თამაშობს შენთვის განსაკუთრებულ როლს, როცა საქმე გერმანიაში სწავლას ეხება?

სხვადასხვა დისციპლინის გამოცდილ მკვლევარებთან ერთად მუშაობა ის დიდი პლიუსია, რაც გერმანიაში სწავლასთან ახლავს და რისი შესაძლებლობაც მე, საბედნიეროდ, მომეცა. კვლევით ჯგუფში მუშაობამ მასწავლა, რომ სხვადასხვა ადამიანს ამა თუ იმ საკითხის მიმართ სრულიად



ფოტო: მარიამ მუსერიძე/პირადი არქივი

განსხვავებული მიდგომა შეიძლება ჰქონდეს. მეორე დადებით ფაქტორს თავიანთ საქმეზე შეყვარებული მეცნიერები წარმოადგენენ, რომლებიც სტუდენტებს დისკუსიის, ახლის შეცნობის და კოლაბორაციის შესაძლებლობას უტოვებენ.

სანამ უშუალოდ ჩემს სამაგისტრო თემაზე მუშაობას დავიწყებდი, შესაძლებლობა მომეცა, ძაღვები რამდენიმე კვლევით ჯგუფში მომესინჯა. ყველა მონაწილეს კვლევითი საკითხის მიმართ განსხვავებული მიდგომა ჰქონდა. იქ მიღებულმა გამოცდილებამ მასწავლა, როგორ უნდა დავსვა ჰიპოთეზა, რომ მასზე პასუხი მივიღო. და ბოლოს, ამაღელვებელი და მოტივაციის მომცემია, როცა სამეცნიერო პუბლიკაციას ეცნობი და იცი, რომ მისი ავტორი კორიდორის ბოლოს ზის.

ჩვენს ინსტიტუტში არის მაგიდის ფეხბურთის კუთხე, რომელიც შესვენებებსა და ექსპერიმენტებს შორის ერთმანეთთან ურთიერთობის კარგი საშუალებაა.

როგორია ყოველდღიური ცხოვრება გერმანიაში: რას ნიშნავს გერმანია შენთვის? სად და როგორ ცხოვრობ?

ვცხოვრობ მიუნხენის სამხრეთ დასავლეთით, პატარა ქალაქში. საცხოვრებელ აპარტამენტს ოთხ გოგონასთან ერთად ვიყოფ. უნივერსიტეტის კამპუსთან ახლოს ვარ, რაც იმას ნიშნავს, რომ ველოსიპედით შემიძლია კამპუსამდე მისვლა, უკან დაბრუნებისას კი, გზად საყიდლების გაკეთება. ჩემს სახლთან ახლოს არის მდინარე და ტყე,



გაზეთი „Kaukasische Post“, კერძოდ კი რუბრიკა „სიახლეები საუნივერსიტეტო ცხოვრებიდან“ ჩვენი ღონისძიებების, ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში მომხდარი სიახლეებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ გაამბობთ. „Kaukasische Post“-ი 1906 წლიდან არსებობს და ყოველთვიურად კავკასიის რეგიონში მომხდარ მოვლენებს აშუქებს.

www.kaukasische-post.com

ფორუმი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის

ზაარლანდის უნივერსიტეტთან არსებული ევროპის ინსტიტუტის ინიციატივით, 21-22 ნოემბერს, თბილისში ჩატარდა ფორუმი თემაზე „იურიდიული განათლება“. ფორუმს დაახლოებით 50 მონაწილე დაესწრო, უმეტესი მათგანი უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები იყვნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან. ფორუმი, რომელიც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით ჩატარდა, გერმანიის ელჩმა საქართველოში ჰუბერტ ქნირშმა გახსნა. ფორუმის მიზანი იყო, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან თანამშრომლობის გამყარება და კონტაქტების გაფართოება.



ფოტოზე: ფორუმი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის/ვ. როილი

თბილ და მზიან ამინდში სახლის ეზოში გრილს ვაწყობთ. ჩვენი ბინის მისაღები ოთახი არაერთხელ გამოგვიყენებია ფილმების ჩვენებებისა და მუსიკის საღამოებისთვის.

თავისუფალ დროს სიამოვნებით ვატარებ ქალაქში. მიუნხენს აქვს ეს უპირატესობა: აქ შეგიძლია დიდი ქალაქის „ხმაურით დატკბე“ და, იმავედროულად, პატარა ქალაქისთვის დამახასიათებელი სიმყუდროვე მოიწყო. მიუნხენში უამრავი პარკია, რომელთაც შაბათ-კვირას სიამოვნებით ვსტუმრობ მეგობრებთან ერთად. მიუნხენში ახლოს ხარ ალპებთანაც, სადაც უამრავი საინტერესო ტურის მოწყობაა შესაძლებელი. მთელი ეს პერიოდი სხვადასხვა ეროვნების ადამიანების გარემოცვაში ვარ, რომელთაც სხვადასხვა მსოფლხედვა და განსხვავებული აღქმა აქვთ.

ვორქშოპი „მოზარდების ენა“

მოზარდების ენა ლინგვისტიკისთვის შესწავლის მრავალწახნაგოვანი საგანია, ხოლო არასპეციალისტებისთვის, უბრალოდ გამოხატვის საშუალება. სემინარზე „მოზარდების ენა“, რომელიც ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 26-30 ოქტომბერს ჩატარდა, მონაწილეებმა სემინარის ხელმძღვანელთან, მიუნსტერის უნივერსიტეტის დოცენტ, ნილს ბალოსთან ერთად ახალგაზრდების ენობრივი გამოხატვის საშუალებები მეცნიერული თვალსაზრისით განიხილეს. მოზარდების ენის თავისებურებასა და სტილისტურ მახასიათებლებთან ერთად, ყურადღება დაეთმო ხსენებული თემის შეტანას გერმანული ენის გაკვეთილზე სხვადასხვა მედია საშუალების (ფილმი, ფლაერი და ა.შ.) გამოყენებით. ვორქშოპის მონაწილეთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მოდული გახლდათ კურსი “GAT 2”, რომლისთვისაც მონაწილეებმა ცალკე

მათთან თანაცხოვრებამ პიროვნულად გამზარდა და დიდი გამოცდილება შემძინა. გერმანიაში გატარებულმა წლებმა თავიდან ბოლომდე შეცვალა ჩემი ცხოვრება, რომ აღარაფერი ვთქვა მიღებულ ცოდნაზე, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ.

ინტერვიუს უძღვებოდა მარლენა რაფელტი
ფოტოზე: მარიამ მუსერიძე/პირადი არქივიდან



სერტიფიკატი მიიღეს. სემინარი ჩატარდა DAAD-ის მხარდაჭერით და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით.

ფოტოზე: ვორქშოპი „მოზარდების ენა“ მაქსი ბორნმანი



სემინარი „წყლის რესურსების მენეჯმენტი“

ჰელმპოლტცის გარემოს კვლევის ცენტრის, თსუ-სა და დარმშტატის ტექნიკური უნივერსიტეტის ერთობლივი ინიციატივით, თბილისში, 17-18 სექტემბერს, ვორჰოპი გაიმართა, რომლის მთავარი თემა წყლის რესურსების მენეჯმენტი იყო. სემინარს ქართველი და გერმანელი მეცნიერების გარდა სომეხი მკვლევარებიც ესწრებოდნენ. განხილულ იქნა წყლის მენეჯმენტში არსებული პრობლემები და გამოწვევები საქართველოსა და სომხეთში. ცოტა ხნის წინ მსგავსი სემინარი აზერბაიჯანსა და სომხეთშიც ჩატარდა.

ლაიპციგში მდებარე ჰელმპოლტცის გარემოს კვლევის ცენტრი, სამომავლოდ თანამშრომლობის გაფართოებას გეგმავს სამხრეთ კავკასიელ პარტნიორებთან.

განათლების გამოფენა

განათლების საერთაშორისო გამოფენა EduGuide წელს 27 ოქტომბერს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა. გამოფენაზე 11 ქვეყანა იყო წარმოდგენილი 22 მონაწილით. DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრის სტენდმა 200-მდე სტუმარს, მოსწავლეებს, სტუდენტებს, დოქტორანტებსა და მეცნიერებს უმასპინძლა. მათი ინტერესი გერმანიის, როგორც საგანმანათლებლო ქვეყნის მიმართ იყო მიმართული



ფოტოზე: DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრის განათლების საერთაშორისო გამოფენაზე/მარლენა რაფელტი.

ევროკავშირის ტვინინგ პროექტი განათლების სფეროში - ინტერვიუ კაი ეკოლდთან

29 ოქტომბერს თბილისში ევროკავშირის ტვინინგ პროექტის „Strengthening capacities for quality assurance and governance of qualifications“ ფარგლებში პირველი ღონისძიება გაიმართა. ტვინინგი ევროკავშირის ინსტრუმენტია, რომელიც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირის წევრებსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის ადმინისტრაციულ დონეზე თანამშრომლობას უწყობს ხელს.

გთავაზობთ ინტერვიუს DAAD-ის ექსპერტ კაი ეტკოლდთან, რომელიც ევროკავშირის ტვინინგ პროექტის ფარგლებში უკვე მეორედ ჩამოვიდა საქართველოში მრჩეველის რანგში.

ბატონო ეტკოლდ, რა მიზანს ემსახურება ტვინინგ პროექტი?

პროექტი მოიცავს სამ კომპონენტს. პირველი მიზნად ისახავს ხარისხის განვითარებას განათლების სფეროში. აქ იგულისხმება როგორც სასკოლო, პროფესიული და უმაღლესი, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებაც. ეს უკანასკნელი თავის თავში მოიცავს ზრდასრულთა განათლებას ანუ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლას. ჩვენი ამოცანაა, რომ პერსონალს, რომელიც სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციაში ხარისხის განვითარების კუთხით მუშაობს, ტრენინგების გზით ავუმადლოთ კვალიფიკაცია, რაც, თავის მხრივ, ხარისხის უზრუნველყოფის გარანტი იქნება. პროექტის მეორე კომპონენტი გულისხმობს ხარისხის განვითარების ახალი ჩარჩოს იმპლემენტირებას, რომელიც ამა წლის აპრილში იქნა მიღებული. ხსენებული კომპონენტის ფარგლებში შემუშავდება ჩარჩოს იმპლემენტირების სამოქმედო გეგმა და

ასევე შეიქმნება ეროვნულ კვალიფიკაციათა ციფრული რეესტრი, რაც საშუალებას მოგვცემს, შედარება მოვახდინოთ ხარისხის განვითარების ევროპულ ჩარჩოსთან. მოკლედ რომ ვთქვათ, განათლების სხვადასხვა საფეხურის ქართული კვალიფიკაციები შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ევროპის ქვეყნების კვალიფიკაციებთან. ევროპის ხარისხის განვითარების ჩარჩო დოკუმენტი ამ შემთხვევაში სათარგმნი ინსტრუმენტია, რომელმაც ეს თანხვედრა შესაძლებელი უნდა გახადოს.

პროექტის მესამე ასპექტი ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კონსულტირებასა და მხარდაჭერას გულისხმობს. ამ შემთხვევაში, უნდა შემუშავდეს მონიტორინგის სისტემა, რომლის საშუალებითაც სკოლებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში ავტორიზებისა და აკრედიტაციის პროცესის შემოწმება მოხდება.

ვინ არის ამ პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი?

პროექტი ხორციელდება გერმანულ-ესტონური კონსორციუმის მიერ. გერმანიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კისრულობს პროექტის პატრონაჟს, DAAD კი, როგორც კონსორციუმის მმართველი მხარე, პროექტის განხორციელებასა და ფინანსურ მენეჯმენტზეა პასუხისმგებელი. ჩვენი ესტონელი პარტნიორია „Estonian Quality Agency for Higher and Vocational Education“ (EKKA). პროექტის საერთო ბიუჯეტი 1,5 მილიონი ევროა და მისი ხანგრძლივობა 21 თვეს შეადგენს.

არსებობს თუ არა გამოწვევები პროექტის განხორციელების თვალსაზრისით და თუ კი, რა სახის?

გამოწვევაა მაგალითად პროექტში საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლების

ვილდაუს ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის პრეზიდენტის სტუპი

22 ოქტომბერს ვილდაუს ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის პრეზიდენტი პროფ. ულრიკე თიპე ამავე უნივერსიტეტის წარმომადგენლებსაგან შემდგარი დელეგაციის თანხლებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ეწვია.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უკვე მეოთხე წელია ფუნქციონირებს ლოგისტიკის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ვილდაუს ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელთან თანამშრომლობით და DAAD-ის დაფინანსებით შეიქმნა. ქ-ნი თიპეს ვიზიტი მრავალმხრივი იყო: იგი შეხვდა ლოგისტიკის პროგრამის ქართველ კოორდინატორებს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილეს, ბ-ნ აკაკი საღირაშვილს და დაესწრო აბრეშუმის გზის თემაზე გამართულ კონფერენციას. ვილდაუს ტექნიკური უმაღლესი სასწავლებელი მომავალში ქართულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავებას გეგმავს.



ფოტოზე: ვილდაუს ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის პრეზიდენტის (შუპი) და მისი თანმხლები დელეგაციის ვიზიტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

ჩართულობა. მათ, ყოველდღიურ სამუშაოსთან ერთად, პროექტის ამა თუ იმ დავალებასთან გამკლავება უწევთ. საამისოდ მათი დროის გამოთავისუფლება და მათი დარწმუნებაა საჭირო. მოქმედი და მონაწილე პირების სისტემატურობა და აქედან მიღებული შედეგი ურთიერთ პროპორციულია.

როგორ ვიქრობთ, შესაძლებელია პროექტის გეგმის მიხედვით განხორციელება, თუ რაიმე სახის ცვლილებების შეტანა იქნება საჭირო?

ამჟამად გეგმის მიხედვით მივდივართ. თუმცა, შესაძლოა, გარკვეულ ცვლილებებს ჰქონდეს ადგილი, რადგან პარტნიორების სურვილის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია, მოქნილები ვიყოთ. მაგალითად, ექსპერტები უფრო ადრეულ ფაზაში ჩაებნენ პროცესში, ვიდრე წინასწარ იყო გამიზნული. მაგრამ, ჩემი აზრით, პარტნიორის მოთხოვნებზე ორიენტაცია პროექტს უფრო საინტერესოს ხდის.

თუკი პროექტი წარმატებით დასრულდება, რა შედეგება ამით ქართულ საგანმანათლებლო სისტემას? რა იქნება

ვაში, მეორედ არ ჩამოვიდოდი საქართველოში. ბევრი რამ მყისიერად ვერ აისახება შედეგზე, თუმცა მოკლე ვადაში აღსაქმელი ეფექტიც იქნება. ამ დღეებში დისკუსია ეწყობა მიზნობრივი კვალიფიკაციების შემუშავებაზე სხვადასხვა საგნებისთვის. ეს კი, მომავალში, საგნების შემოთავაზებაზე იქონიებს გავლენას.

საბოლოო ჯამში, საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აქვს ხელთ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროფესიონალურ დონეზე განხორციელების ფინანსური სახსრები. თუკი არსებული შესაძლებლობების გამოყენება სწორად მოხდება, მე ვფიქრობ, საქართველოს განათლების სისტემა ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას განიცდის. ეს შეუმჩნეველი არ დარჩება საზღვარგარეთ და ის სამომავლოდ საერთაშორისო თანამშრომლობის ახალ შესაძლებლობას შექმნის.

ინტერვიუს უძღვებოდა გეგმარდ როილი

იულისის კვლევითი ცენტრის ვიზიტი ქუთაისსა და აზაშაში



ფოტოზე: კაი ევოლდი /NCEQE

კონკრეტული სარგებელი?

მე მჯერა, რომ პროექტი ქართული საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას შეუწყობს ხელს. სხვა შემთხვე-

ავგისტოს თვეში ქუთაისსა და აზაშას იულისის კვლევითი ცენტრისა და აახენის ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებსაგან შემდგარი დელეგაცია ესტუმრა. სტუმრები შეხვდნენ კოლეგებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს, ასევე პოლიტიკოსებს. განხილულ იქნა პროექტის „ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდი“ სამომავლო პერსპექტივები და მისი დაკავშირება „იულისისა

და აახენის კვლევით ალიანსთან“. შეხვედრების თემა გახლდათ ამჟამად მშენებარე ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესაძლო დაფინანსების საკითხიც.

პროექტს „ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდი“ 2004 წელს ჩაეყარა საფუძველი და დღესდღეობით მასში იულისის კვლევითი ცენტრის გარდა, ოთხი ქართული უნივერსიტეტი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და აგრარული უნივერსიტეტი) მონაწილეობს. „ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდი“ მეცნიერების, სტუდენტებისა და მოსწავლეების გაცვლას ემსახურება და, გარდა სამეცნიერო ვიზიტებისა, მათ, საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან ერთად, საქართველოსა და იულისში საზაფხულო სკოლებს სთავაზობს. „ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდის“ ფარგლებში საქართველოს სამ უნივერსიტეტში SMART-Labs-ები ფუნქციონირებს. თანამშრომლობის ფარგლებში 30 ქართველი სტუდენტი პროექტში მონაწილე უნივერსიტეტებიდან უკვე მეორედ დაესწრო შემოდგომის სკოლას, რომელიც სექტემბერში იულისში გაიმართა.

მაქსი ბორნმანი



ფოტო: იულისის კვლევითი ცენტრის ვიზიტი საქართველოში

https://twitter.com/fz_juelich/

დარგობრივი კურსი „გერმანული ენა ლოგისტიკისთვის“

14-20 ოქტომბერს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა დარგობრივი ენის კურსი ლოგისტიკის სპეციალობის სტუდენტებისთვის. ილმენაუს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტ, დოქტ. ჰაინერ დინტერასთან ერთად, რომელიც დარგობრივ კურსს უძღვებოდა, სტუდენტები: რვა მონაწილე აზერბაიჯანიდან და თერთმეტი მონაწილე საქართველოდან - ლოგისტიკის სფეროს ტერმინოლოგიაზე მუშაობდნენ. პროგრამა ასევე მოიცავდა დარგობრივ ექსკურსიებს ქუთაისში ჰუალინგის თავისუფალ ზონაში, კოპიტნარის აეროპორტში, ტექსტილის ფაბრიკაში „იმერი“, შავი ზღვის სანაპიროზე ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯსა და ბათუმის პორტში.

კურსი DAAD-ის მხარდაჭერითა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით ჩატარდა.



მაქსი ბორნმანი

ფოტო: ქუთაისის ტექსტილის ფაბრიკის „იმერი“ მონახულება.

DAAD/ERP- ის ოცდახუთი წლის იუბილე

ცივი ომის დასრულების შემდეგ ე.წ. აღმოსავლეთბლოკის ქვეყნებისთვის ახალი ეკონომიკური სისტემა და გლობალური ბაზარი გახდა ხელმისაწვდომი. გერმანიასთან თანამშრომლობისთვის საჭირო კომპეტენციის ჩამოსაყალიბებლად, 25 წლის წინ შეიქმნა სასტიპენდიო პროგრამა სახელწოდებით ERP (European Recovery Programme). წარჩინებულ სტუდენტებს პროგრამა დღემდე აძლევს საშუალებას, აიმაღლონ კვალიფიკაცია გერმანიის უნივერსიტეტში სამაგისტრო კურსის გავლის გზით. პროგრამა ფინანსდება გერმანიის ეკონომიკის და ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ, მის განხორციელებას კი DAAD უზრუნველყოფს. პროგრამის შექმნიდან დღემდე ცხრამეტი ქვეყნის 1.600 ახალგაზრდა დაფინანსდა. ERP-ის ბევრი კურსდამთავრებული დღემდე წამყვან პოზიციებს იკავებს და გერმანიასა და თავიანთ სამშობლოს შორის ეკონომიკური კავშირების გაღრმავებისთვის იღვწის. 14 ნოემბერს ბერლინში ERP პროგრამის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება ჩატარდა. მონაწილეებს მიესალმნენ გერმანიის ეკონომიკისა და ენერჯეტიკის სამინისტროს სახელმწიფო მდივანი, დრ. ულრიხ ნუსბაუმი, ასევე DAAD-ის გენერალური მდივანი ქ-ნი დოქტ. დოროთეა რულანდი. ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ გაიმართა პლენარული დისკუსია „აკადემიური ხედვა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკონომიკასთან მიმართებაში“, რომელშიც DAAD/ERP-ის ამჟამინდელი ქართველი სტიპენდიატი, ანი თოდუა მონაწილეობდა. ღონისძიების ბოლოს გამართულ მიღებაზე სტიპენდიატებსა და ალუმნებს საშუალება მიეცათ, გასაუბრებოდნენ პოლიტიკის, ეკონომიკისა და მეცნიერების წარმომადგენლებს.

საზაფხულო სკოლა გერმანელი სტუდენტებისთვის

საზაფხულო სკოლას გერმანელი სტუდენტებისთვის “Faszination Südkaukasus: Kultur, Politik, Gesellschaft” ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა წელს, 7-20 სექტემბერს უმასპინძლა. სკოლას უძღვებოდა პროფ. ქეთევან გურჩიანი. გერმანიიდან ჩამოსულ 17 მონაწილეს შესაძლებლობა მიეცა, გაცნობოდა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის კულტურულ, გეოგრაფიულ, რელიგიურ, ისტორიულ და პოლიტიკურ თავისებურებებს. ექსკურსიებისას უფლისციხეში, საგურამოში, აბასთუმანსა და ბორჯომში სტუმრებმა უკეთ გაიცნეს ქვეყნის კულტურა.

საზაფხულო სკოლის შინაარსობრივი მხარე უმეტესად ილიას უნივერსიტეტის პროფესორებმა უზრუნველყვეს, თუმცა ჩამოსულები იყვნენ დოცენტები სომხეთიდანაც. ამჯერად პროგრამის პარტნიორები გახლდნენ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ჰაინრიხ ბიოლისა და ფრიდრიხ ებერტის ფონდები, ასევე კავკასიის კვლევის რესურსების ცენტრი (CRRC).



ფოტოზე: კურსის მონაწილეები/ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზაფხულო სკოლას ესტუმრა აგრეთვე ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი საქართველოში, რომელმაც

მოხსენება წაიკითხა საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების შესახებ. საზაფხულო სკოლა გერმანელი სტუდენტებისთვის საქართველოში უკვე ათი წელია ტარდება DAAD-ის ხელშეწყობითა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით. ამ პერიოდში დაახლოებით 250 გერმანელ სტუდენტს მიეცა საშუალება, გაცნობოდა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის კულტურას, პოლიტიკასა და საზოგადოებას.

მარლენა რაფელტი

გივი მარგველაშვილის წაკითხვა

ოთხ ნოემბერს საქართველოს გოეთეს ინსტიტუტში გაიხსნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ასევე ქალაქის მერიისა და DAAD-ის მიერ დაფინანსებული ვორქშოპი „გივი მარგველაშვილის წაკითხვა“. სემინარის მონაწილეებს სიტყვით მიმართა გოეთეს ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, ქ-ნმა ბარბარა ფონ მიუნხჰაუზენმა. ხუთ ნოემბერს ვორქშოპი გაგრძელდა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში. „თუ ლიტერატურულ ნაწარმოებებს გავითვალისწინებთ, რომელთა უმეტესი ნაწილი გერმანულ ენაზეა შექმნილი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გივი მარგველაშვილის შემოქმედება მასშტაბურია. მისი დიდი ნაწილი მონოგრაფიების სახით გამოიცა, თუმცა არის კიდევ უფრო დიდი მოცულობის ფილოსოფიური ნაშრომები, რომლებიც არასოდეს დაბეჭდილა“ - განაცხადა ვორქშოპის გახსნაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში, ჰუბერტ ქნირშმა. გივი მარგველაშვილის შესახებ მოხსენება წაიკითხეს ასევე ტილმან ბორშემ (ჰილდესჰაიმი), კარსტენ განზელმა (გისენი), გეორგ ზუნდერმაიერმა, აქსელ

ჰასემ, ექეჰარდ მასმა (ბერლინი), რალფ შოკმა (ზაარბრიუკენი), ლალი ქეცბა-ხუნდაძემ და ალექსანდრე კარტოზიამ. გადაწყდა, რომ მათი და სხვა მონაწილეების (ელკე შტურმ - ტრიგონაკის, ანილ ბათი/ნიუ დელი, ონურ ბილგერ კულა/ანკარა) მოხსენებები კრებულის სახით გამოიცეს. გამომცემლობამ, რომელმაც გივი მარგველაშვილის მრავალი შედევი გამოცა, მისი მონოგრაფიების დიდი ნაწილი საჩუქრის სახით საქართველოში გამოგზავნა.

14 დეკემბერს გივი მარგველაშვილი, რომელიც ამჟამად თბილისში ცხოვრობს, 92 წლის იუბილეს აღნიშნავს.

ალექსანდრე კარტოზია

ჰუმბოლდტის კონფერენცია

30 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით თბილისში ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის 250-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო მულტიდისციპლინარული კონფერენცია გაიმართა, რომელიც ჰუმბოლდტის ფონდმა დააფინანსა. „ელემენტების განუზომელი ნაირფეროვნება“ - ჰუმბოლდტის ძირითადი ნაწარმოების „კოსმოს“-ის ეს ციტატა გახლდათ კონფერენციაზე ევროპისა და აზიის თხუთმეტი ქვეყნიდან ჩამოსული სხვადასხვა დისციპლინის (ლინგვისტიკა, ლიტერატურა, კულტუროლოგია, ფიზიკა, სემიოტიკა, ფილოსოფია, იურისპრუდენცია, მათემატიკა და ბიოლოგია) წარმომადგენელთა სადისკუსიო თემა.

კონფერენციის სხდომები თსუ-ში, ეროვნულ მუზეუმსა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიმდინარეობდა. „ჩვენი კონფერენციის მიზანია, რომ გერმანული ენა დამკვიდრდეს, როგორც სამუშაო ენა. ეს კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს, რომ გერმანულის, როგორც ქართველებისთვის ერთ-ერთი ახლობელი ევროპული ენის შენარჩუნება და

მოვლა მათი კულტურის შემადგენელი ნაწილია“ - განაცხადა ალექსანდრე კარტოზიამ, საქართველოში ჰუმ-ბოლდტის კლუბის პრეზიდენტმა. კონფერენციის გახსნაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა ქ-ნმა სალომე ზურაბიშვილმა.

ალექსანდრე კარტოზია

Erasmus + სემინარი

საქართველოში

30-31 ოქტომბერს თბილისში Erasmus+ თბილისის ბიუროს მიერ ორგანიზებული სემინარი ჩატარდა ევროკავშირის სივრცის პარტნიორი ქვეყნებისათვის. ეს უკანასკნელი მიზნად ისახავდა უკვე არსებული კონტაქტების გაფართოებასა და თანამშრომლობის ახალი გზების მოძიებას. სემინარს წინ უსწრებდა საქართველოსთვის გაზრდილი ბიუჯეტის დამტკიცება, რომელიც 6 მილიონ ევროს შეადგენს, აქედან 3,5 მილიონი დამატებითი 800 სტიპენდიისთვისაა განკუთვნილი.

ERASMUS+ პროგრამა, რომელიც 30 წელზე მეტს ითვლის, საქართველოში 2015 წლიდან არსებობს. დღესდღეობით ის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში იმ სტუდენტების, მკვლევარებისა და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მოზილობას უზრუნველყოფს, რომლებიც ევროკავშირის სივრცეს არ მიეკუთვნებიან. პროგრამაში 150 ქვეყანა მონაწილეობს. Erasmus+ პროგრამის ფარგლებში ხდება სტუდენტების გაცვლა, აკადემიური პერსონალის სტაჟირება. ჟან მონეს სახელით ცნობილი და Erasmus+ დაქვემდებარებაში არსებული პროგრამა კი ქართველ ლექტორებს ევროპის უნივერსიტეტებში სწავლების შესაძლებლობას აძლევს. პროგრამა ერაზმუს მუნდუსი ერთობლივი სადიპლომო პროგრამების შექნაზე, ასევე ინსტიტუციებისთვის ქმედითი კომპეტენციების განვითარებაზე ზრუნავს. ყველა ამ მიზნისთვის

ევროკავშირმა 2014-2020 წლებში სულ 14,7 მილიარდი ევრო გამოყო. საქართველო Erasmus+ პარტნიორ ქვეყნებს შორის ერთ-ერთ აქტიურ მოკავშირედ ითვლება. გაცემული სტიპენდიების რაოდენობის მიხედვით საქართველო მეექვსე ადგილზეა, ორმაგი დიპლომებისათვის გამოყოფილი დაფინანსების რეიტინგში კი 20 სველაზე წარმატებულ ქვეყანას შორისაა. ერაზმუსის პროგრამაში სულ 40 ქართული უნივერსიტეტია ჩართული, რომლებიც 33 პარტნიორ ქვეყანასთან თანამშრომლობენ. საქართველო Erasmus+ პარტნიორ ქვეყნებს შორის ერთ-ერთ აქტიურ მოკავშირედ ითვლება. გაცემული სტიპენდიების რაოდენობის მიხედვით საქართველო მეექვსე ადგილზეა, ორმაგი დიპლომებისათვის გამოყოფილი დაფინანსების რეიტინგში კი 20 ყველაზე წარმატებულ ქვეყანას შორისაა. ერაზმუსის პროგრამაში სულ 40 ქართული უნივერსიტეტია ჩართული, რომლებიც 33 პარტნიორ ქვეყანასთან თანამშრომლობენ. 2015 წლიდან მოყოლებული საქართველოში Erasmus+ სულ 5.500 ინდივიდუალური განაცხადი და 600 პროექტი დააფინანსა. 2019 წელს სულ 1.144 ქართველმა ისარგებლა პროგრამის დაფინანსებით. გარდა ამისა, ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან საქართველოს 751 უნივერსიტეტის წარმომადგენელი ესტუმრა. გერმანია საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი ქვეყანაა. ეს კიდევ ერთხელ ცხადყო სემინარმა, რომელზეც გერმანული დელეგაცია 27 წევრით იყო წარმოდგენილი. 2019 წელს გერმანიის 19-მა უმაღლესმა სასწავლებელმა 838.000 ევრო მიიღო მომდევნო სამი წლის ვადით ქართულ უმაღლეს სასწავლებლებთან 30 თანამშრომლობითი პროექტის განსახორციელებლად. ბიუჯეტის დამატებით ზრდასთან დაკავშირებით ახალი კონკურსების გამოცხადება იგეგმება.

მარლენა რაფელტი

გერმანული ენის ახალი ასისტენტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

კატია პროტივა DAAD-ის ენის ასისტენტის რანგში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მუშაობას შეუდგა. DAAD-ის მიერ დაფინანსებული ლოგისტიკის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის და ვილდაუს, ბრანდენბურგისა და ფლენს-ბურგის უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლობის ბაზაზე შეიქმნა, 2015 წლიდან ფუნქციონირებს. საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა ვილდაუს ტექნიკური უნივერსიტეტის კურიკულუმს ეფუძნება და პროგრამაც ნაწილობრივ გერმანული დოცენტების მიერ ხორციელდება. სტუდენტებს სწავლის პერიოდში საშუალება ეძლევათ, ერთი სემესტრი დაჰყონ გერმანიაში, საბოლოოდ კი მათ ორმაგი დიპლომი ენიჭებათ.

„სხვადასხვა ენები და კულტურები ყოველთვის კვეთდნენ ერთმანეთს ჩემ ცხოვრებაში. სანამ ჩემი მშობლები გერმანიაში გადავიდოდნენ საცხოვრებლად, ბელარუსიასა და უკრაინაში ვიზრდებოდი. ამ ფაქტმა მოგზაურობა შემაყვარა და ერთიორად გაზარდა ჩემი ინტერესი საერთაშორისო ასპარეზის მიმართ. სკოლის ერთი წელი ფინეთში გავატარე და გადავწყვიტე ენები პროფესიად გამეხადა. უნივერსიტეტში გავიარე ანგლისტიკისა და გერმანიისტიკის მიმართულებით. სწავლის პერიოდში ორი სემესტრი დავეყავი გრენდას უნივერსიტეტში (ესპანეთი). გარკვეული პერიოდისა და ძიების შემდეგ კი ლაიპციგის უნივერსიტეტში ჩავაბარე სამაგისტრო პროგრამაზე თარგმანმცოდნეობა და საკონფერენციო თარგმანობა. სწორედ ამ პერიოდში მომეცა შესაძლებლობა, DAAD-ის სტიპენდიით ჩილემში წავსულიყავი და კონსეფსიონის უნივერსიტეტში მესწავლა.“



ფოტო: კატია პროტივა/
პირადი არქივიდან

კარიერულმა გზამ საბოლოოდ მშვენიერ საქართველოში ჩამომიყვანა, რაც პირადად ძალიან მინდოდა. მიხარია, რომ ორ სემესტრს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დავყოფ, სტუდენტებთან ვიმუშავე და გამოცდილებას დავაგროვე.“

კატია პროტივა

DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრი, 02 | 2019

კონტაქტი

საკონსულტაციო

საათები:

ორშაბათი, ოთხშაბათი,
ხუთშაბათი:
14.00 - 18.00 სთ.

სატელეფონო

საკონსულტაციო

საათები:

ორშაბათი, ოთხშაბათი:
11.00 - 13.00 სთ.
ხუთშაბათი, პარასკევი:
11.00 - 12.30 სთ.

მისამართი:

მ. ზანდუკელის ქ. 16
0108 თბილისი
საქართველო

ტელ.: 00995 32 2 920 926
www.daad-georgia.org



DAAD Georgia

იმპრესუმი

საინფორმაციო ფურცელი მომზადებულია DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრის მიერ. ზანდუკელის ქ. 16, თბილისი 0108. სამართლებრივი წარმომადგენელი დოქტ დოროთეა რულანდი. Deutscher Akademischer Austauschdienst e.V. Kennedyallee 50, D-53175 Bonn

ტელ: + 995 32 2 920 926

info@daad-georgia.org

www.daad-georgia.org

ორგანიზაციის სათავო ოფისი:

ქ. ბონი (გერმანია). დარეგისტრირებულია ბონის საქალაქო სასამართლოს მიერ სასამართლოს რეესტრი VR 2015

რედაქტორები:

გებჰარდ როილი, დოქტ. ნინო ანთაძე, თამარ ლაცაბიძე, მარლენა რაფელტი ნოემბერი 2019

პასუხისმგებლობა:

ჩვენ პასუხს არ ვაგებთ მესამე პირის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე იმ გვერდების შინაარსზე, რომელსაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა ბმულის საშუალებით გაეცნობა პასუხისმგებელია უშუალოდ მათი მომწოდებელი.

Copyright©by DAAD.e.V. საინფორმაციო ფურცლის შინაარსი დაცულია საავტორო უფლებით. ტექსტების გამოყენება, ისევე როგორც მცირე პასაჟებისა და ფოტოების, DAAD-ის წინასწარი თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

გამოწერის გაუქმება: თუ არ გსურთ საინფორმაციო ფურცლის მიღება, მოგვწერეთ: info@daad-georgia.org

DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრი
გისურვებთ ბედნიერ შობას და
წარმატებულ 2020 წელს

სადღესასწაულო დღეებში
საინფორმაციო ცენტრი არ იმუშავებს
01- 07 იანვრამდე

განცხადებები

Innovative, communicative, unique:

Master of Manufacturing Technology

The "Master of Science in Manufacturing Technology" (MMT) is a 4 semester Master's program in English at TU Dortmund University.

This program is geared towards dedicated and highly motivated students and graduates of renowned German and international universities. Chosen students will be able to study on a scholarship.

Verlinkte Seite:

<http://www.mmt.mb.tu-dortmund.de/en/mmt-program>

**Truly international – Study at ESB Business School!**

You want to study in a truly international setting in Germany, Europe's strongest economy? Come to ESB Business School! We offer top-ranked undergraduate, graduate and executive programmes in business management and business engineering (German and/or English), providing a strong network of partner companies and international partner universities.

Verlinkte Seite:

<https://www.esb-business-school.de/en/degree-programmes/>